დანართი N-5

დამტკიცებულია:

წყალტუბოს წმ.გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის

მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის

მმართველი დირექტორის ბრძ.N 60/003 24.07.2024წ.

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი

წყალტუბო
2024 წელი

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია ----------

თავი 1. სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ----------

თავი 2. მოსწავლის სტატუსის შეჩერება ----------

თავი 3. სტატუსის აღდგენა ----------

თავი 4. სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა მობილობა ----------

თავი 5. კლასისა და საფეხურის დაძლევა ----------

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

ზოგადი ინფორმაცია

წყალტუბოს წმ.გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებულ პირთათვის,კერძოდ,იმ ინფორმაციის/ დოკუმენტის ხელმისაწვდომობას,რომელიც განსაზღვრავს სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლის მიღებას, საფეხურისა და კლასის დაძლევას, სტატუსის შეჩერებას თუ აღდგენას.

დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაცია განთავსებულია სკოლა-გიმნაზიის ვებ-გვერდსა და ინტერნეტსივრცეში,ასევე შეიძლება ინფორმაცია განთავსდეს გიმნაზიის შიგა სივრცეში,თვალსაჩინო ადგილას.

სკოლა-გიმნაზია ჩვეულებრივ სასწავლო წლის დასწებისას, დაინტერესებულ პირთათვის აწყობს ღია კარის დღეს, ის საშუალებეე,რომლის დროსაც იგი წარადგენს სათანადო წესით დამოწმებულ სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესსა და სასკოლო-სასწავლო გეგმას:მზაობას მოსწავლეთა მიღებისა და შემდგომი პროცესების თაობაზე(მაგ: სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი, მოსწავლეთა უნიფორმა, ქცევის წესები,შუალედური და ფინალური ტესტირებები,მოსწავლეთა კლასებში განაწილება.

თავი I.სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვა

მუხლი 1. სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლის ჩარიცხვასთან დაკავშირებით გასავლელი ეტაპების თაობაზე გიმნაზია იცავს ყველა იმ მექანიზმს,რომელიც დადგენილია კანონმდებლობით და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს განუმართავს,რომ:

ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე,პირველ კლასში რეგისტრირდება პირი,რომელსაც კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში უსრულდება 6 წელი. სწავლის დაწყების ასაკთან დაკავშირებით ამ ეტაპზე გამონაკლისი არ დაიშვება.

სკოლა-გიმნაზიის კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება სკოლა-გიმნაზიის დებულების შესაბამისად,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

მუხლი 2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის ვადები დგინდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, სკოლა-გიმნაზია თავის მხრივ განსაზღვრავს სკოლა-გიმნაზიის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობას.სკოლა-გიმნაზიაში რეგისტრაცია ხორციელდება

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

სკოლა-გიმნაზიასთან უშუალო კომუნიკაციით და შესაბამის პორტალზე რეგისტრაციით.

მუხლი 3. სკოლა-გიმნაზია პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად ელექტრონული რეგისტრაციისა და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადების თაობაზე ბრძანებას განათავსებს სკოლა-გიმნაზიის საინფორმაციო დაფაზე, სკოლა-გიმნაზიის ოფიციალურ ვებგვერდსა და სკოლა-გიმნაზიის სოციალურ გვერდზე.

მუხლი 4. სკოლა-გიმნაზის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად ელექტრონული რეგისტრაციისა და ჩარიცხვის ვადები განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

5.1. სკოლა-გიმნაზია მმართველი დირექტორის აქტით განსაზღვრავს მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მათი წარდგენის ვადას.

5.2.წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.არასრულწლოვანი მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი(ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

5.3.მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

5.4. სკოლა-გიმნაზია შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებამდე პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის/მოსწავლეების შესახებ ინფორმაციას და ამ მოსწავლის/მოსწავლეების პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ასახავს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში(portal. Eschool.emis.ge).

მუხლი 6. დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა ჩარიცხვა

სკოლა-გიმნაზია უფლებამოსილია, მობილობის მსურველის ჩარიცხვის შემდგომ ,ტესტირების საფუძველზე, დაადგინოს მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა,ცალკეულ

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.

მუხლი 7. II-IX კლასებში ჩასარიცხად მოსწავლის კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს სკოლა-გიმნაზიას და წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

მუხლი 7.1. არასრულწლოვანი მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.არასრულწლოვანი მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი(ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

მუხლი 8. საშუალო საფეხურზე მოსწავლის ჩარიცხვა

მუხლი 8.1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება საშუალო საფეხურზე ჩარიცხვის მსურველ პირებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განუმარტავს,რომ:

მუხლი 8.1.1. საშუალო საფეხურზე (X-XII) ჩარიცხვისთვის აუცილებელია მოსწავლეს ჰქონდეს საბაზო განათლების დამადასტურებელი ატესტატი, წინააღმდეგ შემთხვევაში,მისი ჩარიცხვა,მიუხედავად ასაკისა,მოხდება მაქსიმუმ IX კლასში.

მუხლი 8.1.2. თუ მოსწავლეს არა აქვს დაძლეული საბაზო საფეხური,მოსწავლე შესაძლებელია ჩაირიცხოს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 8.1.3.სკოლა-გიმნაზია უფლებამოსილია. მობილობის მსურველის ჩარიცხვის შემდგომ ტესტირების საფუძველზე, დაადგინოს მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა,ცალკეულ საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.

მუხლი 9. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარება და მოსწავლეთა ჩარიცხვა

მუხლი 9.1. სკოლა-გიმნაზია უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების მქონე პირის სკოლა-გიმნაზიაში ჩარიცხვის მსურველი მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს ,მას შემდეგ რაც მიიღებს განცხადებას და დოკუმენტაციას,განუმარტავს, რომ მათ უნდა მიმართონ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (http://@eqe.ge)

მუხლი. 9.2.პროცესის დასრულებამდე, დაინტერესებული პირი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში წერს განცხადებას, რომ მოსწავლე დაესწროს საგაკვეთილო პროცესს,ხოლო აღიარების შემდეგ იწერება განცხადება ჩარიცხვის თაობაზე.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

მუხლი.9.3. აღიარების საფუძველზე განისაზღვრება, თუ რომელ კლასში ჩაირიცხა მოსწავლე და რა პირობით.

მუხლი.10. სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვა

განათლების მიღმა დარჩენილი მოზარდის ან სწავლის მიტოვების მაღალი რისკის მქონე მოსწავლეების ზოგად განათლებაში სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის,სკოლა-გიმნაზიაში ,მშობლის/მეურვის მომართვის შემთხვევაში დგინდება მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები და განათლების,მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე,სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვი ირიცხება ასაკის შესაბამის კლასში არაუმეტეს 3 კლასით დაბალ კლასში.

თავი. 2. მოსწავლის სტატუსის შეჩერება

მუხლი 11. სკოლა-გიმნაზია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩერებს სტატუსს იმ შემთხვევაში,თუ:

11.1.მოსწავლე 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლა-გიმნაზიაში/არ მონაწილეობს დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში და არ იღებს შეფასებას.

11.2.მოსწავლე მიემგზავრება/ გაემგზავრა საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციას.

11.3.არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/სრულწლოვანი მოსწავლე სკოლა-გიმნაზიას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით. არასრულწლოვანი მოსწავლის სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილების მიღებამდე, სკოლა-გიმნაზია იკვლევს და საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეფერირების გზით, დაადგენს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის მიზეზებს. ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი ვალდებულია, თავის მხრივ, მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს რეფერირება შესაბამის ორგანოში;

11.4. მოსწავლის სტატუსის შეჩერებამდე, კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გარდა,სკოლა-გიმნაზია განახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს,მათ შორის ,ზედიზედ მე-10, და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში,კლასის დამრიგებელი ამზადებს წერილობით ანგარიშს მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის მიზეზის დასადგენად და მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის შესახებ, რომელსაც სკოლა-გიმნაზია მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს რესურსცენტრს,ხოლო ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მართვის მიზნით,კლასის დამრიგებელთან

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

ერთად ჩართავს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკს(ასეთის არსებობის შემთხვევაში).

11.5. მოსწავლეს ავტომატურად უჩერდება სტსტუსი, თუ სკოლა-გიმნაზიას უარი ეთქვა ავტორიზაციაზე, გაუუქმდა ავტორიზაცია ან გაუვიდა ავტორიზაციის ვადა და არა ჰყავს უფლებამონაცვლე და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ათი სამუშაო დღის ვადაში არ მიმართავს სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მობილობის მოთხოვნით.

მუხლი 12.მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა ფინანსური დავალიანების გამო

12.1.სკოლა-გიმნაზიის უფლება-მოვალეობები მოსწავლის მიმართ

12.1.1. სკოლა-გიმნაზია ფინანსური დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში მოსწავლეს დაასრულებინებს მიმდინარე სასწავლო სემესტრს.

12.1.2. სკოლა-გიმნაზია ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს შეუწყვეტს მოსწავლის სტატუსს მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე გონივრულ ვადაში,საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის შეუფერხებელი მობილობის უზრუნველსაყოფად.

12.1.3. სკოლა-გიმნაზია ფინანსური დავალიანების წარმოშობისთანავე წერილობით აფრთხილებს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს და განუსაზღვრავს მას გონივრულ ვადას შესაბამისი ვალდებულების შესასრულებლად,აგრეთვე განუმარტავს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგებს.

12.1.4. სკოლა-გიმნაზია მოსწავლისათვის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა, აღნიშნულს,წერილობით აცნობებს სამინისტროს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.

12.1.5. მოსწავლისათვის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში სკოლა-გიმნაზია მოსწავლის პირად საქმეს და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენ დოკუმენტაციას გადასცემს მოსწავლის მიმღებ სკოლას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

12.1.6. სკოლა-გიმნაზია, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელის სურვილით მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირად საქმეს და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენ დოკუმენტაციას გადასცემს მოსწავლის მიმღებ სკოლას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ სათანადო განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, აგრეთვე მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს 5 სამუშაო დღის ვადაში უბრუნებს წინასწარ გადახდილი სწავლის საფასურს(არსებობის შემთხვევაში).

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

თავი. 3. სტატუსის აღდგენა

მუხლი 13. მოსწავლის სტატუსის აღდგენა ხდება სკოლა-გიმნაზიის მმართველი დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით,მას შემდეგ,რაც მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს სკოლა-გიმნაზიას(ან უფლებამონაცვლე,ასეთის არ არსებობის შემთხვევაში სასურველი სკოლა), რომელმაც კანონმდებლობის შესაბამისად .მოსწავლეს შეუჩერა სტატუსი და ორი სამუშაო დღის ვადაში ინფორმაციას ასახავს ზოგადი განათლების მართვის საინფგორმაციო სისტემაში.

თავი 4. სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა მობილობა

მუხლი 14. სკოლა-გიმნაზია მოსწავლის მობილობით დაინტერესებულ პირს განუმარტავს მობილობასთან დაკავშირებულ საკითხებს.იმ შემთხვევაში თუ სკოლა-გიმნაზიაში არ არის თავისუფალი ადგილები სკოლა-გიმნაზია მაინც იტოვებს განცხადებას და პასუხს დაინტერესებულ პირს უგზავნის წერილობით.

მობილობა დაუშვებელია:

14.1. კალენდარული წლის პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე;

14.2. სასწავლო წლის დასრულებამდე 30 კალენდარული დღის განმავლობაში;

14.3. მე-12 კლასელებისათვის მე-12 კლასის მე-2 სემესტრის მიმდინარეობისას;

14.4. ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში, სკოლა- გიმნაზიის ან/და მოქალაქის მომართვიანობის შემთხვევაში, მობილობისთვის შეზღუდულ პერიოდში ,თანხმობას/უარს გასცემს საქართველოს განათლების,მეცნიერებისა და ახალგაზტდობის სამინისტროს ის ტერიტორიული ორგანო- საგანმანათლებლო რესურსცენტრი,რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მიმღები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

მუხლი 15. მობილობისთვის, სკოლა-გიმნაზია მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს დეტალურად აცნობს საჭირო პროცედურებს,რომლის განხორციელების შემდეგ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება,რომლიდანაც გადადის მოსწავლე,ახდენს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მობილობაზე შემოსული ელექტრონული მოთხოვნის დადასტურებას ან უარყოფას.
15.1. . იმ შემთხვევაში თუ, სკოლა-გიმნაზიისთვის ცნობილი გახდება, რომ მოსწავლის

მობილობასთან დაკავშირებით, მშობლებსა ან/და კანონიერ წარმომადგენლებს

შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა და აქედან რომელიმე მხარე წინააღმდეგია

აღნიშნულის, ამ შემთხვევაში სკოლ-გიმნაზია არ ადასტურებს მობილობის

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

ელექტრონულ მოთხოვნას, იმ დრომდე სანამ მშობლებს შორის არ დასრულდება

სასამართლო დავა და/ან იმ დრომდე სანამ არ მიიღებს ორივე მშობლის

წერილობით თანხმობას, აღნიშნულის შესახებ პასუხს აცნობებს ორივე

დაინტერესებულ მხარეს და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ინტერესების

გათვალისწინებით, ინფორმაციას აწვდის სოციალურ მუშაკს. ასევე, სკოლაგიმნაზია უფლებამოსილია და ამის შესახებ აცნობს მშობელს/კანონიერ

წარმომადგენელს და მოსწავლეს, რომ მობილობის მსურველის ჩარიცხვის შემდგომ,

სკოლა-გიმნაზიამ, შესაძლოა, ტესტირების საფუძველზე, დაადგინოს მოსწავლის

ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით

დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა, ცალკეულ საგანში/საგნებში

მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.

თავი 5. კლასისა და საფეხურის დაძლევა

მუხლი 16. სკოლა-გიმნაზია წინასწარ აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს საჭირო და გასათვალისწინებელ ინფორმაციას კლასისა და საფეხურის დაძლევის შესახებ, კერძოდ:

16.1.სკოლა-გიმნაზია წინასწარ აცნობს, მოსწავლეებს ინფორმაციას, რომ სკოლას

უფლება აქვს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასს დაუნიშნოს გამოცდა

არაუმეტეს ორ საგანში. (გამოცდა, ორი წლის მანძილზე არ ტარდება ერთისა და

იმავე საგანში);

16.2. კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

16.3.ექსტერნის წესით კლასის დაძლევის შემთხვევაში (თუნდაც ერთ საგანში) მოსწავლე

კარგავს მედალს (“FLEX” -ის პროგრამის მონაწილის გარდა);

16.4. იმ შემთხვევაში,თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 5.0-ზე ნაკლები, სკოლა-გიმნაზია ვალდებულია მოსწავლეს დაუნიშნოს საშემოდგომო გამოცდა ამ საგანში. საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა განისაზღვრება გიმნაზიის სასკოლო-სასწავლო გეგმით.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

16.5.მოსწავლისათვის საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება ,თუ მოსწავლის საფეხურის ქულა(დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მას დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი,რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას.

16.6.ასევე საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება ,თუ მოსწავლის საფეხურის ქულა(დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მას დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი,რაც მოსწავლეს აძლევს საშუალებას საშუალო განათლების ატესტატის აღებისა.

16.7. ექსტერნატის ფორმით ამა თუ იმ საფეხურზე ზოგადი განათლების მიღება ითვალისწინებს პირის მიერ ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/ სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დამოუკიდებლად დაძლევას.

16.8. მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე,გამონაკლისის სახით შესაძლებელია:

16.8.1. სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.(სკოლა-გიმნაზიაში ასეთი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში).

16.8.2. სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.(სკოლა-გიმნაზიაში ასეთი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში).

16.9. სსსმ მოსწავლის მიმართ ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები და ექსტერნატის გამოცდის ჩატარება ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად;

16.10. თუ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია წლიური გამოცდის ჩატარება და დადგენილია, რომ მას აბარებენ ის სსსმ ((სკოლა-გიმნაზიაში ასეთი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ, სკოლა-გიმნაზია

უზრუნველყოფს საგამოცდო მასალის ადაპტირებას – იქმნება ინდივიდუალური

საგამოცდო პროგრამა, რომელიც დაეყრდნობა სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.